ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘ. № 186 (13271) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

მᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ!

ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲐ

მშვენებლებს ტრადიციულად გვექცა: ჩვენი პროფესიული ზეიმსაოთვის ყოველთვის ვჯილდებთ წარსული დროის შრომის შედეგს. ახლაც, როცა მშენებლის დღის აღსანიშნავად ვეგზადებოდით, თვალი გადავავლეთ ჩვენს ნაბუშევარსა და ნამოქმედარს. მაჩვენებლები ცუდი როდი გვაქვს: მარტო ის, რომ ჩვენს სამმართველოს მშენებელთა შორის რესპუბლიკაში პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის სპეციალური წოდება, ცხადყოფს ჩვენი კოლექტივის შრომისმოყვარეობას, იმათ წინაშე პასუხისგებლობის ღრმა გრძნობას, ვისთვისაც ვაშენებთ ახალ საცხოვრებელ სახლებს. აღარ ჩამოვთვლი სხვა ნაგებობებს, რომლებმაც დედაქალაქი — თბილისი დაამშვენეს და გაალამაზეს. ვის არ ხიბლავს საბურთალოს ახალმშენებლობათა შესანიშნავი პანორამა, რვა ცხრასართულიანი სახლებით დამშვენებული. ამ დიდ საამქალაქო ნაგებობათა დაახლოებით 80 პროცენტი მთავრობილია სმშენის მე-11 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივის ნაოსტატარია. გამძღნელდება ჩამოვთვალო დახელოვნებულ მშენებელოსტატთა სახელები, მათ თავი ისახელეს მშენებლობათა ხარაჩოებზე.

სამმართველოს კოლექტივმა წელს წარმატებით შეასრულა მშენებლობის შვიდი თვის გეგმა და 10.058 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადასცა ახალმოსახლეებს. წლის ბოლომდე კი გეგმით გათვალისწინებულზე გადამეტებით 2.025 კვადრატულ მეტრ ფართობს ჩავაბარებთ. ამ ვალდებულებას, რომელიც ერთვნელ მშენებლებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიკისრეთ, ეჭვი არ არის, პირნათლად გავანაღდებთ.

მშენებელთა ასეთი წარმატება მოპოვებულია უპირველეს ყოვლისა შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად. იმით, რომ თვითეული მშენებელი ახლა მრავალ პროფესიას ფლობს. ჩვენი ყოველი მშენებელი ახლა კალატოზიც არის და დურგალიც, მემონტაჟეც და მებეტონეც. ამან საშუალება მოგვცა შეგვქმნა საბოლოო პროდუქციის კომპლექსური ბრიგადები.

ასეთ კომპლექსურ ბრიგადას ვხელმძღვანელობ მეც. საცხოვრებელი სახლის აგებაზე სულ ექვსი კაცი მუშაობს. ასე რომ არ იყოს ჩვენთან შრომა მოწყობილი, ყოველი მშენებელი რომ ერთ ვიწრო სპეციალობას ფლობდეს. მაშინ საჭირო იქნებოდა უამრავი მუშახელი. ახლა ეს გამორიცხულია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ბრიგადამ ააშენა შვიდი 60-ბინიანი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. რომლებიც შეფასებულ იქნა „ფრიადზე" და „კარგზე". სამუშაოს შესრულების ხარისხი ბრიგადის თვითეული წევრის უპირველესი საზრუნავი საქმეა.

ხშირად მშენებლობის პერიოდში ისეთი საკითხები ისმება, რომელთა გადაჭრას ჩვენ თვითონ ვაგვარებთ. ვინც მშენებლობას ახლოს იცნობს, იცის, რომ სამარკველის ამოყვანის შემდეგ ამოსაყარ მიწას კვლავ უკანვე ვყრით. ამ სამუშაოს მუშახელით ვარულებდით. არცთუ დიდი მოცულობის უუთებს მიწით ვავსებდით, შემდეგ ეს უუთები ამწეს გადაჰქონდა. ეს მოითხოვდა ბევრ მუშახელს და ამასთან დაბალი იყო ამწეს დატვირთვა. სამი კუბური მეტრი მიწის გადასატანად ამწეს ხუთჯერ უნდა შეეტრულებინა ერთი და იგივე პროცესი. ეს კი მშენებლობის ღირებულებაზე უარყოფითად მოქმედებდა. სწორედ ამან ჩაგვაფიქრა. და აი გადავწყვიტეთ მიწა ბულდოზერის დამმარბით ჩაგვეყარა თვითსაცლელი ავტომაქანის ძველ ძარაში. ასეც მოვიქეცით. ძარა ვიშოვნეთ. და ახლა ამწეს ერთჯერად გადააქვს სამი კუბმეტრი მიწა. ხელით შრომა მთლიანად გამორიცხა. ძარაში მიწის ჩაყრას სამუშაოს ახლა ბულდოზერი ასრულებს. ეს ერთი დამახასიათებელი ფაქტი იმიტომ მოვიყვანე, რომ ამით მინდა ვუთხრა ყველა მშენებელს — სიძნელეებს ნუ შევუშინდებით. მოვიფიქროთ მათი დაძლევის მიზეზი. გავაიაფოთ მშენებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა ახლა აღჭურვილია მძლავრი სამშენებლო მექანიზმებით. არც მასალების სიმცირე იგრძნობა. ზოგჯერ სეროიზულ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. ჩვენი ბრიგადა წელს პირველად შეუდგა დიდპანელიანი ბლოკებით 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, სამწუხაროდ, პირველსავე დღეებში ვიგრძენით საკმშენინდუსტრიის ტრესტის მხრივ მშენებლობისადმი გულგრილობა. ზოგჯერ დიდი დაგვიანებით გვაწვდიან რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, რაც იწვევს მშენებლების გაცდენას. ასეთ გაცდენებს კი ჩვენი ბრიგადა მიჩვეული არ არის. საჭიროდ მიმაჩნია მთავართბილისმშენის ხელმძღვანელთა ყურადღება გავამახვილო ამ ნდგომარეობაზე. თუ კვლავ გამეორდა რკინაბეტონის კონსტრუქციების დაგვიანებით მიღების შემთხვევები. მშენებლობის ვეგეში შესრულება საფრთხეში აღმოჩნდება.

საკმშენინდუსტრიის ტრესტის ხელმძღვანელობამ ანგარიში უნდა გაუწიოს მშენებლებთა ამ სამართლიან მოთხოვნას და ისე მოაწყოს ბლოკების წარმოება, რომ მშენებლები რკინაბეტონის ყველა ზომის კონსტრუქციებს შეუფერხებლივ ვიღებდეთ.

ჩვენი სამშენებლო სამმართველოს კოლექტივთან ერთად ჩვენი ბრიგადის წევრები შ. კახობერაშვილი, გ. ახმაილაშვილი, გ. ხაბალეური, ნ. სოკოლოვი და სხვ. ზეიმით აღნიშნავთ მშენებლის დღეს. ჩვენი მუშაობის დევიზი იყო და კვლავ იქნება:

— ვაშენოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად და იაფად!

შ. ჩხუტიაშვილი.

მთავართბილისმშენის კომუნისტური შრომის № 9 სამშენებლო სამმართველოს საბოლოო პროდუქციის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

• • •

სურათზე: მთავართბილისმშენის კომუნისტური შრომის № 9 სამშენებლო სამმართველოს შ. ჩხუტიაშვილის კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) თ. ხაბალეური, ზ. ცინცაძე, ჯ. ელოევი, ს. ისმაილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. სოკოლოვი, ბრიგადირი შ. ჩხუტიაშვილი და გ. კახობერაშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

„ᲡᲐᲥᲛᲨᲔᲜᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ" ტრესტმა ამას წინათ ლენინგრადიდან მიიღო ლენინგრადში უკვე დანერგილი და საყოველთაოდ მოწონებული სართულთაშორის გადასახურავი ახალი კონსტრუქციის ფილების სამუშაო ნახაზები. ამ ფილების სიხქე 14 სანტიმეტრია ნაცვლად 22 სანტიმეტრი სიხქისა, რაც ამჟამად დანერგილ სართულთაშორის გადასახურავ ფილებს აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ლენინგრადული კონსტრუქციის ფილების დანერგვით სართულთა სიმაღლე 8 სანტიმეტრით გაიზრდება, ხოლო საშენი მასალების ხარჯი საგრძნობლად შემცირდება.

ლენინგრადული მეთოდით სართულთაშორის გადასახურავი ფილების გამოშვება 30 პროცენტით ზრდის ფილების გამოშვების სიმძლავრეს.

რ. ნინიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქმშენინდუსტრიის ტრესტის მმართველი.

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭომ მშენებლის დღესასწაულის წინადღეებში სოფელ გეიმბალაურის კოლმეურნეობას გადასცა კლუბ-კინოთეატრის სამსართულიანი შენობა 200 მაყურებლის დარბაზით და სოფელ ორაგვის კოლმეურნეობას 2-სართულიანი შენობა 100 მაყურებლის დარბაზით.

გ. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ,
ლანჩხუთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ მშენებლის დღის საყოველთაო-საბალო დღესასწაულია წინ — კრემლის ყრილობათა სასახლეში შეეკრიბნენ ადამიანები, რომელთა ხელით შენდება საცხოვრებელი სახლები, ქარხნები, მაღაროები, მარტენები, ელექტროსადგურები.

სხვიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. კუზნეცოვმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილეს, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარეს ი. ტ. ფოვკოვს. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი გაკვეთილი აქვს ახალ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებული ეტაპი წლის მანძილზე მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ქალაქებისა და სოფლების, ინჟინრული ნაგებობების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ნავთობისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის, ელექტროენერგეტიკის, ატომური ენერგეტიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის, ავიაციისა და ინსტრუმენტების, ელექტროტექნიკური, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, ფოტოფირფიტების, ფოტოქიმიკატების, ბიოქიმიური, ფარმაცევტული, ბიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ბიოსინთეზური, ბიოტექნიკური, ბიოფიზიკური, ბიოორგანული, ბიოანალიზური, ბიოორგანიზმების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ფიზიკური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ქიმიური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ბიოლოგიური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ფიზიკურ-ბიოლოგიური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ქიმიურ-ბიოლოგიური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური ფაქტორების, ბიოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედ ბიოლოგ

სახალხო კონტროლიორის მაცხვირი თვალი

ორ წელიწადზე ცოტა მეტი ხანი გავიდა იმ დროიდან, რაც საწარმოებში, მშენებლობებზე. საბჭოთა მეურნეობებში. დაწესებულებებში, სასწავლებლებში და სახლმპართველობებთან პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებმა პირველად შექმნეს სახალხო კონტროლის უველაზე მასობრივი ორგანიზაცია — პარტიული და სახალხო კონტროლის დამხმარე ჯგუფები და საგუშაგოები.

წესდების მიხედვით პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფებისა და საგუშაგოების არჩევა გათვალისწინებულია ორი წლის ვადით; მაშასადამე, ახლანდელ საგუშაგოებსა და ჯგუფებს რწმუნების ვადა გაუვიდათ და დადგა მათი განსახლების დრო. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა გადაწყვიტა დამხმარე ჯგუფებსა და საგუშაგოებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგირება მოეწყოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნების დროს. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს, რომ დელეგირება პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისგანაც იმავე პერიოდში მოხდეს. ამავე დროს დამხმარე ჯგუფებსა და საგუშაგოებში თავიანთ წარმომადგენლებს გააგზავნიან კოლმეურნეობებიც.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში მზრომელთა წარმომადგენლების, კომუნისტებისა და უპარტიოების დელეგირებამ ხელი უნდა შეუწყოს სახალხო კონტროლიორთა აქტივობისა და ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას. დამხმარე ჯგუფების წევრთა კრებებზე, რომლებიც წინ უსწრებს დელეგირებას, საჭიროა განვიხილოთ განვლილი ორი წლის მუშაობის შედეგები. ამ კრებებზე უნდა წამოვაყენოთ ჯგუფის ის წევრები, რომლებიც გაწეულ მუშაობაზე ინფორმაციას გააკეთებენ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და კოლმეურნეთა კრებებზე.

განვლილი ორი წლის მანძილზე კოტა მუშაობა როდია გაწეული. სახალხო კონტროლი ამ დროის მანძილზე საგრძნობ ძალად გადაიქცა. ჩვენი რეპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დაწესებულებებში შეიქმნა კონტროლის დამხმარე 6.260 ჯგუფი და 19.310 საგუშაგო, სადაც დელეგირებული იყო 15ª ათასი კაცი.

სახალხო კონტროლიორების მახვილი თვალი სწვდება რეპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას. ორი წლის მანძილზე მათ შვიდი ათასზე მეტი საკითხი შეისწავლეს.

ათასობით სახალხო კონტროლიორმა შემოწმებაში, დოკუმენტურ რეკონიტებში, კვლევა-ძიებაში. მასობრივ რეიდებში მონაწილეობით ნაკლოვანებებთან ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება შეიძინა. ისინი არა მარტო ამხილებენ ნაკლოვანებებს, არამედ აღწევენ შემოწმების ქმედითობის ამაღლებას და, რაც დიდად მნიშვნელოვანია, შესაძლო ნაკლოვანებათა მიზეზების წინასწარ თავიდან აცილებას. ამასთან ისინი ხელმძღვანელობენ ლენინის მითითებით სახალხო კონტროლიორებისადმი, — მთავარია იმდენად არა ის, რომ „დაიჭირო", „ამხილო", არამედ ის, რომ უნარი გქონდეს გაუსწორო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ სახალხო კონტროლიორებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს სოფლის მეურნეობაში და ამეამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მკას. სოფლად 12 ათასზე მეტი სახალხო კონტროლიორი მონაწილეობს მასობრივ რეიდში, რომელიც მოიცავს 21 რაიონის 300 კოლმეურნეობას, მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და ნეკასთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოებს. მარტო 180 ათასი მეტატარი სარწყავი მიწების შემოწმებამ საშუალება მოგვცა გამოგვეკლინებინა, რომ 22 ათასი მეტატარი ეს მიწები ფაქტიურად არ ირწყვებოდა. რეიდმა ხელი შეუწყო აღნიშნული ნაკლის გამოსწორებას და ამით ამ მიწებზე მოსავალი ველა კულტურის მოსავლიანობის ამაღლებას.

11 ათასზე მეტი სახალხო კონტროლიორი მონაწილეობდა რესპუბლიკის საწარმოებში და მშენებლობებზე შავი და ფერადი ლითონების შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების მასობრივ შემოწმებაში. შემოწმების შედეგად გამოვლენილულ იქნა დიდძალი აღურიცხავი ლითონი, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მშენებლობებზე შავი ლითონის უეაირათოდ გამოყენების ფაქტები.

ამ მასობრივი შემოწმების დროს ძვირფასი პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფის წევრებმა. მათ შემოიტანეს წინადადება — გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება შავი და ფერადი ლითონების ეკონომიისათვის. თვითონ პირველნი ჩაებნენ ამ შეჯიბრებაში და მოუწოდეს სხვა საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებს მიებაძათ მათი მაგალითისათვის. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა.

იმის მკაფიო მაგალითს, თუ რა დიდ შედეგებს აღწევენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფები, წარმოადგენს ქალაქ რუსთავის დამხმარე ჯგუფების მუშაობის გამოცდილება. მაგალითად, დამხმარე ჯგუფებმა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შეისწავლეს საწარმო რეზერვები და დაეხმარნენ საწარმოს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებმაც ხელი შეუწყო 1964 წლის გეგმით გათვალისწინებული ზარალის შემცირებას 500 ათასზე მეტი მანეთით, და 1965 წლიდან პირველად მიაღწიეს ქარხნის მუშაობას სახელმწიფო დოტაციის მიუდებლად. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დამხმარე ჯგუფების აქტიური მონაწილეობით გაუმჯობესდა ელექტროენერგიის ხარჯვის კოეფიციენტები, შემცირდა დანაგარკთა არაგეგმით მოცდენა, ამის შედეგად ქარხანამ 1964 წელს გეგმის ზევით გამოუშვა რამდენიმე ათეული ათასი ტონა სასუქები პირობითი გაანგარიშებით.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დამხმარე ჯგუფებისა და საგუშაგოების სასარგებლო დადებითი მუშაობის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ არ შეიძლება მიღწევებთან ერთად სახალხო კონტროლიორთა მუშაობაში არ დავინახოთ ხარვეზებიც, რომლებიც ხელს გვიშლის უფრო ღრმად ჩავწვდეთ ნაკლოვანებებს და გამოვასწოროთ ისინი, სიდუმლო რადია რომ სახალხო კონტროლიორთა ნაწილი მინიჭებულ უფლებებს არ იყენებს, პასიურად მუშაობს, იშვიათად აყენებს ადმინისტრაციის, პარტიული ორგანიზაციისა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების წინაშე საკვანძო საკითხებს, რომლებიც აფერხებს წარმოების ზრდას. ჯერ კიდევ ხშირია სიღრმეს მოკლებული, ზერელე შემოწმებანი.

პრაქტიკა გვასწავლის, რომ სახალხო კონტროლიორთა მუშაობაში ყველაზე მეტად იქ არის ნაკლოვანებანი, სადაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ დამხმარე ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობას, არ წარმართავენ მათს მოქმედებას.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ დამხმარე ჯგუფებსა და საგუშაგოებში წარმომადგენელთა დელეგირება ემთხვევა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მორიგ საანგარიშო-საარჩევნო კრებებს. კრებებზე კომუნისტებმა პრინციპული შეფასება უნდა მისცენ იმას, თუ როგორ უზრუნველყოფდნენ პარტიული ორგანოები ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელობას, როგორ მუშაობდნენ ამ ჯგუფებსა და საგუშაგოებში წარგზავნილი კომუნისტები. კონკრეტულ საქმიან კრიტიკას, ძვირფას წინადადებებსა და რჩევას შეუძლია ამამაღლოს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სახალხო კონტროლიორთა მუშაობისათვის.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს დამხმარე ჯგუფების დაკომპლექტებას. საჭიროა ახალი ცოცხალი ნაკადი შეუერთდეს დამხმარე ჯგუფებსა და საგუშაგოებს. სასურველია დამხმარე ჯგუფებში წამოვაყენოთ „კომკავშრომული პროექტორის", ეკონომიური ანალიზის ბიუროებისა და სხვა თვითმოქმედი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ახორციელებენ სახალხო კონტროლს, აგრეთვე კედლის გაზეთის რედაქტორები და სარედაქციო კოლეგიის წევრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამხმარე ჯგუფებისა და საგუშაგოების თავმჯდომარეთა შერჩევას.

დიდი მნიშვნელობა აქვს დამხმარე ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობაში თანმიმდევნობის პრინციპის დაცვას. საჭიროა მათს შემადგენლობაში დაეტოვოთ ახალი ვადით ის სახალხო კონტროლიორები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი ამ სამუშაოზე, მოქმედი ადამიანები, რომლებმაც გამოავლინეს პრინციპულობა, იმის უნარი, რომ შეუძლიათ სახელმწიფოს ინტერესები დაიცვან, შეურიგებლად ებრძოლონ ნაკლოვანებებს.

დამხმარე ჯგუფებსა და საგუშაგოებში წარმომადგენელთა დელეგირება დიდი მნიშვნელობის საქმეა. იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ ამ კამპანიას პარტიული ორგანიზაციები, და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები, ბევრად არის დამოკიდებული სახალხო კონტროლის შემდგომი წარმატებითი მუშაობა, მისი ქმედითი ძალა.

საკლესიის განცხადება

საბჭოთა ხალხმა გულისწყრომითა და აღშფოთებით შეიტყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ახალი ღონისძიება განახორციელა, რათა გააფართოოს აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. გადაწყდა დამატებით გაიგზავნოს სამხრეთ ვიეტნამში 50 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. ეს ამერიკის იმპერიალისტების ახალი პროვოკაციაა, რითაც იგი ცდილობს ქედი მოახრევინოს ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამა წლის 2 აგვისტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ვიეტნამში ომის შემდგომი გაძლიერების, ინდოჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების კურსს, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს. „ამერიკელმა იმპერიალისტებმა, — ნათქვამია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, — სამარი მოქმედებენ გადაფართხის პოლიტიკას მიმართეს იმ იმედით, რომ აინაზღაურონ დამარცხებანი, თავი დააღწიონ გართულებულ მდგომარეობას და ხელი შეუშალონ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული მთავრობისა და არმიის დაშლას".

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ებრძოლოს ამერიკელ აგრესორებსა და მათს საგონელ მარიონეტებს, სანამ სრულ გამარჯვებას არ მოიპოვებს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამასთანავე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სახავს ვიეტნამის საკითხის მოწესრიგების გზას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა ხუსტად შესრულება.

საბჭოთა კავშირი ერთგულად იცავს ძმური სოლიდარობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. და მტკიცედ უპერს ახარს ვიეტნამელ ხალხს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში. საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებას და გადაჭრით გმობს აგრესიის ახალ აქტს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჩადის ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი ყოველგვარ დახმარებას უწევდა და კვლავაც გაუწევს მომძე სოციალისტურ ქვეყანას — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამერიკის აგრესიის მოსაგერებლად თავდაცვისუნარიანობა განმტკიცებაში.

როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ვიეტნამის ხალხის მამაცურ ბრძოლას სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს სხვა მოძმე ქვეყნები, მთელი პროგრესული კაცობრობა. ამ ბრძოლამ დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ შეუძლებელია იმ ხალხის დამორჩილება, რომელიც სამართლიანი საქმისათვის იბრძვის.

თავიანთი ოგანური მოქმედების შესაბამებად ამერიკელი აგრესორები თვალთმაქცურად ლაპარაკობენ „სამშვიდობო" მოლაპარაკებებზე. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნამდვილად სურთ, რომ სურიოზულად მოვეკიდოთ ლაპარაკს ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, მათ სტატეები კოდარონ და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით კი ამერიკის შეერთებული შტატების მმართველნი ერეკენი მხოლოდ ორთულებენ კონფლიქტს, და ისეთ მოქმედებას სჩადიან, რომელიც ვერაფერი [illegible] ... შტატების აგრესიული კურსის გაგრძობის [illegible] ... დოლარით გადადდეს ასიგნობანი ვიეტნამის ომისათვის.

თუ გვინდა ვიეტნამის საკითხი ვიეტნამელი ხალხის საკეთილდღეოდ, მშვიდობის ინტერესებისათვის გადაიჭრას, ზუსტად უნდა შესრულდეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი იმ პროგრამის საფუძველზე, რომელიც ჩამოაყალიბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამა წლის 8 აპრილს და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა ამა წლის 22 მარტს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა, შეწყვიტონ აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამში და გაიყვანონ იქიდან თავიანთი ჯარები და გიინტანონ იარაღი.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახალი ღონისძიებანი მიაჩნიათ აგრესიულ მოქმედებად, რასაც მოჰყვება ვიეტნამში ომის გაფართოება. სახელმწიფო მოღვაწეებს რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას განსაზღვრავენ, ნუ ჰგონიათ, რომ ამერიკის აგრესია დაუსჯელი დარჩება. ეს აგრესია, უთუოდ, სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას წააწყდება და ბოლოს და ბოლოს სამარცხვინოდ დამარცხდება. ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს.

სსრკთა ერთიანი ფლოტი

ბერძენი ხალხის გამარჯვება

ათენი, 6 აგვისტო. (საკდესი). „ბერძენმა ხალხმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა", — ნათქვამია საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომუნიკეში, რომელიც გადასცა რადიოსადგურმა „სიმართლის ხმა" და გამოაქვეყნა გაზეთმა „ავგინი".

„სასახლის მთავრობა, რომელიც შექმნისთან ა ვე დაგმო ხალხმა, გააშვებს პარლამენტში, — ნათქვამია კომუნიკეში. — მხურვალედ მივესალმებით დემოკრატიის ყველა წარმომადგენელს, ყველა ფენა-ენტატს. პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც ერთგულად დაიცვეს ხალხის დავალება, მეზნეურად ახალგაზრდობას, გმირ მუშათა კლასსა და მთელ ხალხს, რომლებმაც ერთიანი მძლავრი ბრძოლა მოგვიგეს ფაშისტურ ძალადობა, ბანდიტიზმ და ტერორ-ის ... ბრძოლა, გმირ მუშათა კლასსა და მთელ ხალხს, რომლებმაც ერთიანი ... ძალა, მზად უნდა იყვნენ განაგრძონ ბრძოლა ყოველი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ ამა თუ იმ ფორმით გააჭიანურონ არანორმალური მდგომარეობა. თავიანთი მასობრივი გამოსვლებითა და ერთობით ისინი შეძლებენ უზრუნველყონ კონსტიტუციური წესრიგი და დემოკრატიული მშვიდობისათვის. ადგილობრივ და უცხოეთის რეაქციულ წრეებს, ამერიკელ იმპერიალისტებს, სასახლეს და ხუნტას არ უთქვამთ უარი თავიანთ ანტიდემოკრატიულ და ანტიეროვნულ მიზნებზე. ახლანდელი მდგომარეობა კვლავ კრიზისული და ხალხი კიდევ უფრო ფხიზლად უნდა იყოს. დემოკრატიული ძალები და მთელი ხალხი, რომლებსაც მტკიცედ სწამთ თავიანთი ძალა, მზად უნდა იყვნენ ... ბრძოლა, რომ ... ...

ქართული კულტურის მეუვნებელ და სიამაყე

ჩვენი ვაჟა

ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან შობილი ოცნება
გულს შანთად გავიყარეო.

ვაჟა-ფშაველა

კაცობრიობის რჩეული

შოთა რუსთაველის შემდეგ ვაჟა-ფშაველა ყველაზე ღრმა, ჩემი სულის ყველაზე მეტად ამაღელვებელი ქართველი მწერალია. ვაჟა მთაში დასთებული ცეცხლია, რომელიც თავისკენ გვიხმობს; ცივილიზაციის რკინით დატრილი, მაგრამ თავისი სილამაზით და ცხოვრების სიმართლით უკვდავი თვალმშვენიერი ირმის ძახილია; ვაჟა-ფშაველა კითხვაა ჩვენი დროის წინაშე წამოჭრილი. ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვიცია პასუხი იმ სილამაზისათვის, რომელიც პოეტს შეუქმნია. იგი ეროვნული პოეტია საქართველოსი, მაგრამ მარტო საქართველოსი როდია. ვაჟა-ფშაველა, როგორც რალფ ემერსონი იტყოდა, კაცობრიობის რჩეულთ ეკუთვნის.

კორნელი ზელინსკი.

ვესაუბრებით როგორც ცოცხალს

პატიოსანი და სპეტაკი, სულით დიადი იყო ჩვენი საოცარი პოეტი ვაჟა-ფშაველა.

დღეს ვაჟა-ფშაველას ისევე ვესაუბრებით, როგორც ცოცხალს. მისი იფნები, რომლებიც მან ოდესღაც მდინარის პირას დარგო, ახლაც თაობამ უკვე ნოყიერ ვენებზე გადაიტანა და. პოეტ სიმონ ჩიქოვანის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათმა ფესვებმა საბჭოთა ადამიანების მთელი სათუთი მზრუნველობა შეიწოვეს.

პავლო ტიჩინა.

ხალხის გულის მესაიდუმლე

თბილისი ხალხის წიაღიდან გამოსული, ვაჟა-ფშაველა დასტიროდა მშობელი ხალხის მაშინდელ ბედს, მაგრამ იბრძოდა ახალი ბედისათვის. აი რაშია ვაჟას სიდიადე, აი რატომ არის იგი საამაყო არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ვიქტორ კერნბახი,
რუმინელი პოეტი.

უმრეტი წყარო

მსოფლიო პოეზიაში ძალიან ცოტაა ისეთი პოეტი, როგორიც შეიძლებოდეს შედარებულ იქნეს ფშაველ კაცთან.

ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო დავწაფებოდი ვაჟას შემოქმედების საუცხოო წყაროს.

იაროსლავ იედლიჩკა,
ჩეხი მწერალი-მთარგმნელი.

ი. გრიშაშვილი

ვაჟას მოსაგონრად

სამშობლოს მტრები ხალხმა გაიგეტა
და გადაბარა შავეთ-უფსკრულში:
ნეტავი ერი წამოგახედა —
რა სიხარული ჩაგვიდგა გულში.

როცა ქვეყანას ნისლი ებურა,
იმოსებოდა მთები შავითა,
მაშინ გაისმა სიტყვა მთებურად
გადმოსროლილი ვაჟას ფშავიდან.

ყოველ ჯარისკაცს ჰქონდა უბეში
შენი ლექსები გადაკეცილი,
ჩვენ გავიმარჯვეთ, ერის ნუგეშო,
და ამ ზეიმში შენც გიდევს წილი.

შენზე ფიქრობდა ილია ჩვენი,
მან შენი მუზა აქო, ადიდა;
შენს მოსაგონარს ვსვამთ ლალის
წვენით
ბიმიკაურის მუზარადიდან.

შენს სიყვარულში ვინ დაეჭვდება,
ვინ მოგაშორა სვავთა გუნდები,
გულში გვიყრია ძვირფას ბეჭდებად
შენი სიტყვები იაგუნდები.

კენტი ხარ! აბა ტოლი ვინ არი?
ვინ არ გიწამა. არ გეთაყვანა?
იცოცხლებ, ვიდრე ცოცხლობს
მყინვარი
და რუსთაველის დიდი ქვეყანა.

1945 წ. 9 აგვისტო.
რუსთაველის თეატრი.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა

ჩვენი ვაჟა! — ასე ახსენებენ ფშაველ-ხევსურნი ჩვენს დიდებულ პოეტს.

ჩვენი ვაჟა! — სიყვარულით ახსენებენ თბილისში მუშები, ინტელიგენტები.

ჩვენი ვაჟა! — ასე იგონებენ მთელ საქართველოში.

„ჩვენი ვაჟა! — ვიძახოდით მოწაფეები, როცა დავინახავდით ვაჟა-ფშაველას.

ჩვენი ვაჟა! — ალერსით იტყოდნენ ილია და აკაკი, თავისი დიდი თანამოძმის შესახებ და ზედ დაატანდნენ: „მთის არწივი!"

„არწივის" ეპითეტით ამკობდნენ მას. ვინც არწივი შემოაფრინა ქართული პოეზიის ბალში, სადაც ბულბულის სტვენა სჭარბობდა, და მისი მამაკაცური ელემენტი გააძლიერა.

რით იყო გამოწვეული განსაკუთრებული სიყვარული ვაჟასადმი?

• • •

უპირველესად, ვაჟა-ფშაველა იყო ულრმესად ხალხური პოეტი, ყველაზე სახალხო პოეტი, თავისი ფესვებით ღრმად წასული ქართულ მიწაში, ქართულ ტრადიციებში. მისი შემოქმედება უაღრესად ხალხური, ამაშია მისი საკვირველი ძალა. ვაჟა-ფშაველამ გადაგვიხსნა სული და გული ქართველი ადამიანისა, სილამაზე მისი ზნეობრივი სახისა, მისი დიადობისა; გვიჩვენა სულიერი თვისებანი ქართველი ხალხისა, მისი შეუდრეკლობა, დაუმორჩილებლობა მონობისადმი. ვაჟას ნაწარმოებების გმირები ალეკურვილნი არიან მაღალი ადამიანური თვისებებით. მისი გმირები ეროვნული სინდისის ხალხია. მათი ნება და გრძნობა სამშობლოს კეთილდღეობისაკენ არის მიმართული. ვაჟას პოეზიაში უპირველესად ჩანს ხალხი, მისი „მე", მისი მისწრაფებანი, ეროვნული სულით გამსჭვალული ვაჟა ქართველი ხალხის წარსულისა და მომავლის მოძღვარია. თავისი ცეცხლეული სიტყვით იგი გადმოგვცემდა აზრსა და ჯრძნობებს დამონებული ხალხისას, რომელიც მას „დაჭრილი არწივის" სახით ყავდა წარმოდგენილი.

ვაჟა იყო დიდი მომღერალი ერის თავისუფლებისა, პიროვნების თავისუფლებისა, შემოქმედების თავისუფლებისა. მისი პოეზია იყო მებრძოლი იარაღი თვითმპყრობელობის დესპოტური ძალადობის წინააღმდეგ, რითაც გამოწვეული იყო პოეტის სასტიკი დევნა მთავრობის მხრივ. ვაჟას სწამდა თავისი ხალხი. იგი არა მარტო სამშობლოს წარსულსა და აწმყოზე ფიქრობდა, არამედ მისი გული დაპყრობილი ჰქონდა სამშობლოს მომავლის ფიქრებს და ოპტიმისტურად, გულგაუტეხლად ამბობდა:

რომ მომავალი ჩვენია,
ამას რად უნდა მისანი!

ვაჟა პირნათლად ასრულებდა ხალხის მოთხოვნას პოეტისადმი, ლექსი იმან უნდა თქვას, ვისაც მებრძოლი, მოქალაქეობრივი სახელი აქვს დამსახურებული. ვაჟა-ფშაველა ხალხის უფლებისათვის, ხალხის იდეალებისათვის დაუდალავი მებრძოლია:

ბრძოლა იმასთან გვაღლევს შვებასა,
ცხოვრებაშია რაც გულსაკლავი.

მებრძანებელი მოტივი დამონებული ერის მწერლობისა იყო ტანჯვის სიმღერა, მიჯაგული ამირანის საგალობელი, და ვაჟას სიმებიც საკმაოდ დალბობილია ცრემლით; ტკბილად კი არ უწოდა მან თავის წიგნს „ცრემლები".

მაგრამ დიდმა პოეტმა ასახა არა მხოლოდ ხალხის ტანჯული ცხოვრება, არამედ მისი გმირობაც. იგი საოცარი ძალით უმღერდა გმირებს, გმირობისა და თავისუფლებისათვის ცეცხლს აჩაღებდა მკითხველის გულში, რათა ერი გადაერჩინა დაცხრომლობისა და კირთებისაგან. მან ახალი, საბრძოლო პათოსით აანთო ქართული პოეზია. ამიტომ ჰქუხდა მძლავრი ხმოვანებით ვაჟას სიტყვა, ამიტომაც „იმ დროის დაცვეულობისა და დეკადენტიზმის ისტერიკა ჯერ შეეხო ვაჟას ფესვნაგარ ჩანგს.

მტერი ძალადობისა, ერთა შუღლისა, ვაჟა-ფშაველა ხალხის სიმართლის, ხალხთა ძმობის ძოძღერალი დღესაც დიდი სიყვარულით სარგებლობს კავკასიის მთიელთა შორის.

როგორც პოეტის ოჯახის წევრი გადმოგვცემს, ვაჟა ადამიანის დაჩაგვრას ვერ იტანდა. სხვებთან ყოველთვის ამაზე მოსდიოდა უსიამოვნება, იტყოდა ხოლმე საჯაროდ, კაცნო, ერთ-ურთს ნუ ჩაგრავთ, ერთ-ურთი უნდა გავიტანოთო.

ჰუმანისტი, დემოკრატი ვაჟა არა მარტო პოეტური ზრნმით ემსახურებოდა ხალხს. იგი, როგორც ნამდვილი რაინდი, თავგამოდებით და ხმირად, სიცოცხლის რისკითაც კი, ებრძოდა მეფის ბოქაულებს, წვრილ მოხელეებს, მომხვეტ ჩარჩებს, რომელნიც უწყალოდ ჰკვლეფდნენ გულუბრყვილო მთიელ გლეხობას.

ვაჟა ნამდვილი შვილი იყო ხალხისა. მას ჰქონდა ცხოვრება რეგითი და უმეტეს ღარნი ფშაველისა. მან შესანიშნავად იცოდა მთიელ გლეხთა ცხოვრება, თვით იყო ამ ცხოვრების მონაწილე, თვითვე ხნავდა, მკიდა, თიბავდა, მიწას ამუშავებდა; იდგა ცხოვრების ნამქერის შუაგულში, ებრძოდა ცხოვრების სამკაცრეს სიცივეში, შიმშილში, დევნასა და დამცირებაში, ძველრთხა შემოცვეთილი ზაფხულის სიცხეში ხმელ ქალამანს წყალში ილბობდა. დიდი პოეტი ხალხის ცხოვრებასთან იყო შეზელილი, ხალხის ტირისა და ლხინის გამზიარებელი, ხალხის ტიტულმების პატივისმცემელი.

ვაჟა ნამდვილი ხალხის მეგობარი იყო და გულშემატკივარი — მეზობლის ქალი მოვიდა ლუკასთან და შესჩივლა: — რა ვქნათ, ბეჩავები, საწყლები ვართ, წუხელ ქმარი მომეკვდა, ტიტველია და არ ვიცი რით დავმარხოო...

ლუკამ აიღო და თუ რაზე გაგვაჩნდა: პური, ფული, სასუდრო, მისცა და უთხრა: აბა, წადი, შე ბეჩავო. იმ კაცს ტიტველს ნუ დამარხავთო! თავისი ჩოხა-ახალოხი გაატანა. ფართალი გვქონდა სასლში, — ისიც მისცა, დამარხე ის კაცი და ბალღებს მოუარეო, — გადმოგვცემს თამარ რაზიკაშვილი.

ვაჟა-ფშაველას იდეურ-მორალური მიზანი იყო დამონებული ხალხის საწესარი.

თვით სოფლად ცხოვრება, ხალხში ყოფნა — ეს იყო ვაჟას მორალური და იდეური გადწყვეტილება. მას კარგად ესმოდა მისია პოეტის — ქადაგისა, რომლის მხატვრული თუ უბრალო სიტყვები უნდა ყოფილიყო გამამხნევებელ-მომწოდებელი გმირობისა, ღვაწლისა და სამშობლოს სიყვარულისაკენ.

ვაჟა-ფშაველა მარტოოდენ ხალხის პოეტი და მეგობარი არ ყოფილა. იგი ამავე დროს ხალხის წინამძღვარი იყო. ფშავი და ხევსურეთი, როგორც ერთი კაცი, მორჩილად უსმენდა მას.

და შეიძლება ბეგრმა არც კი იცოდეს, რომ 1914 წლის მსოფლიო ომის პირველ დღეებში, მან ფარულად შეყარა ხალხი მიუვალ ადგილას, ულრან ტყეში და წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა სამშობლოს მომავალი ბედის შესახებ, მერე ამოიღო ხანჯალი, გაიჭრა თითი და სისხლით დაფიქრებულ-მოცემულ-ოფიცრებს: **ტანჯვა ერ-ა ტ-ვ-ა, ვაჟა-ფშაველ-ა, უმადურობას-ა მოვალ-ნ, არ ვუდალატებ სიცოცხლით გზას ჩემს ეკლიანს ხავალსა.**

„ბემბოლი ვარ ნათლითა", — ამაოდ კი არ თქვა ვაჟამ.

დიდია ვაჟა-ფშაველას დამსახურება ერისა და პოეზიის წინაშე.

ვაჟა თვალია ქართული მწერლობისა. უკვდავია მისი ამჯრიანი, უბრალო და ნათელი ლექსი, რომლის ელვარება გაუცვეთელი და ჩაუქრობელია.

ვაჟა საკაცობრიო მგოსანი-გენიოსია. იგი დიდი ფიგურაა პოეზიისა.

საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ზოგჯერ მეტად ახალ, თანამედროვე სახეებს ვხვდებით

ვაჟა-ფშაველამ ღონიერი, მამაკაცური სიმწიფის სიტყვა თქვა, ქართული პოეზიის ფესვებს სინდლე მისცა და სასიცოცხლო შხეფები ასხურა, მან გამოიყენა ხალხური პოეზია, მაგრამ „ხალხური" თავისი შთაგონებითა და გემოვნებით ჯერდაჭმნა.

ვაჟამ სიტყვას ნაჯიდობა მისცა.

ძლიერი ლირიკოსი და უფრო ღონიერი ეპიკოსი მეტად ნაყოფიერი იყო. მან აგრეთვე დაგვიტოვა დრამატურგიული ნაწარმოებები, თარგმანები. ვაჟა მომზადებული, „მაგარი" პუბლიცისტიც იყო.

54 წლის ასაკში გარდაცვლილმა 10-ზე მეტი ტომი დაგვიტოვა. ასრულდა მისი ნათქვამი:

პირნათლად მივალ საფლავში,
მტკიცედ დამიცავს პირობა.

ვაჟას ლექსს ამჯრის სამუდამო ბრწყინვალება შერჩა...

პოეტები ხშირად ბერდებიან, ვაჟა კი არ დაბერებულა, პირიქით, თავისი სულიერი სიდიადით და უკვდავი ჩანგის ძალით იგი დღესაც აღანთებს ჩვენს გრძნობებს და ჩვენს ოცნებას, წარმართავს მკითხველის ნებას და რაზმავს საშშობლოსა და კაცობრიობის სამსახურში.

ვაჟას ვაკაცური ხმა დღესაც მოუწოდებს ხალხს ღვაწლისაკენ, გმირობისაკენ. დღესაც გვაფელვებს ძველებურად მისი ახალური ყიჟინა.

ვაჟას ლექსის არწივი დღესაც ნავარდობს საქართველოში. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ქართველმა ხალხმა მიიღო როგორც თავისი დიდი საუნჯე. და ეს არის უპირველესი თავდები ვაჟას უკვდავებისა.

ბაჟა-ფშაველს მეუღლე თანარი ეგონებდა პოეტის სიკვდილის დღეებს: „ბერრთ ნათელა თავის დროზე განთქმული იყო ტირილში, ლუკაც კარგად იტირა. როცა ჩარგალში სახლის წინ მწვანე მოლზე გავშალე ლუკას ნაბადი, ზედ დავაწყე ჩოხა-ახალუნი. ჩოხაზე ვაჟას ხმალი იყო მიწვენილი. გარშემო ლუკას სატირალს მთელი ჩვენი სოფლის დედაკაცები ეხვეოდნენ. წამოდგა შუა დედაკაცებიდან ბერრთ ნათელა, აიღო ლუკას ხმალი ხელში, დაიბჯინა და დაიწყო მოთქმა შემდეგი სიტყვებით:

...ეს თუ არი და ჩვენი ლუკაი
ბადალი მთელი ხმელეთისა-ა-ა-ა...

ნათელას ქვითინს მოიგლმა ქალებმა ხმა მისცეს, ქვითინითვე უპასუხეს. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ხალხზე (დანარჩენი სიტყვები არ მახსოვს). რომ მამაკაცებსაც ტირილი მოერიათ. ფშაგში ხომ წესად არ იყო მამაკაცების ქვითინი. ნათელას ტირილზე კი მათ თავი ვეღარ შეიკავეს და ბევრმა დაიწყო ქვითინი".

„ბადალი ხმელეთისა" — ვაჟას მსოფლიო პოეტური სახელი მაშინვე განაკვირტა და იწინასწარმეტყველა ხალხმა.

დღეს ვაჟა-ფშაველა მსოფლიო პოეტების დიდ გუნდს ეკუთვნის.

ბიორგი ლეონიძე.
საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი.

ვაჟას დღეები

თბილისში

ხვალ დღის პირველ საათზე ქართველი მწერლები და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ყვავილების თაიგულებით შეამკობენ ვაჟა-ფშაველას საფლავს ვთაწმინდის პანთეონში.

საღამოს კი ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში ეკიმართება ვაჟა-ფშაველას ხსოვნის დიდი სალამო. რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სახალხო პოეტი **ბიორგი ლეონიძე.** მოხსენებას პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხავს პოეტი **ალექსანდრე გოგიტაშვილი.**

ჩარგალში

დღეს ვაჟა-ფშაველას მშობლიურ სოფელს ჩარგალს ესტუმრებიან ქართველი მწერლები და პოეტები, მშრომელები. აქ დღის პირველ საათზე გაიმართება დიდი პოეტის ბარდაცვალების 50 წლისთავის ალსანიშნავი მიტინგი.

მოგესალმებით, ქედებო!

დღეს ვაჟას სოფელში

ზენაზვალიდან დაწყებული თითქმის ორწყლამდე საავტომობილო გზა ერთ ძოლიან ფაზჩატურში მიიკლაკნება. საქართველოში ბუნებით შემკულ ადგილებს რა გამოლევს, მაგრამ არაგვის ხეობა სულ სხვა რამეა.

მიდიხარ გზაზე და გულში გაურკვეველი რაღაც განცდა ძატლობს, თავისთავად იბადებიან სიტყვები— „ოგეესალიბით, ქედებო, ბომაქვს სალამი გვიანი!..." ვეაია პოეტური კრიალოსანია ეს დიდებული ბარცელები? ეჯერსეს! და გოხეიაში აღიმართება კაცი, რომლის დეკვაცური ნაფეხურები ატყვია მიწის თვითეულ ეოჯს. აქ ყველაფერი ძისი ბოგობებით სუთქავს. რატომ არის აქაური ჰაერი ასე საიიაბოეოსნო? იმიტომ, რომ მას სუხთქავდა ვაჟა-ფშაველა, გეძრიელია ფშავის წყაროები, ოადგას ამთ ქეზვით ავამდა დიდი ბგოსანი, წარტაცია აქაური ზეცა, ზოგჯერ უაზღვროდ ლურჯი და ზოგჯერ შავი ღრუბლებით მოქუფრული, რადგან მას ჭვრეტდა პოეზიის დეკვბირი ვაჟა-ფშაველა.

ჩვენი ბაღლის ერთ-ერთი საყვარელი სოფელია ჩარგალი, საიდანაც ვაჟამ აოეზიის უსარმაზარ სამყაროს გვაზიარა. ჩარგლელ ითუეცებთან რომ ვიაუბრობ და მათს ტკბილ ფაავეურ კილოს ვისმენ, აივ ძეონია, თითქოს ბათ ეეთხზეს „ბეველის-მეჰამელი" და „ბეოგოთურ და აფშინა", „ბაბტრიოხი" და „ბვლის ბუკრის ხაადბრბი". ეაიხი ხომ ბეეიალურ ბეოსსაა იცხობდნენ უბრალოდ, ძეზობლურად, ბეგობრულად, ხაათან ცხოა-ძმობა ქმიხიათ.

ამ დღეებში ვაუას გარდაცვალების ორმოცდაათი ეოსისთავია აღმიიჩეეეი ეკმეიისის ეეკრთან, ბარტეიის დუმეთის რაიკომის პირველ მდივან აჩრილ ბადურთან ერთად ჩარგალს ვესტუმრე. მზიანი დდე იყო, გრილი და ეეანრი...

ჩარგალი მაღაროსკარის კოლმეურნეობაში შედის, რომელიც ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს. სოფელში ბეგნიერ ფეხზე მივედით, დუმელი მეეახხუბრეს ფერმის მეეახხუბეციას ამთავრებდნენ. სადგოძეი, რომელიც ასოეი ძროხისათვის არის განკუთვნილი, მოწყობილია ავტოსარწყველებელი, კოელი გზები. ერთი კოლომეტრი მანძილიდან მილებით ბედოა ძთიდას გამოეყვანიან წყაოოს ანკარა წყალი, წყალადენი უკვე ჩართული იყო და ხალხი წყლის მოსვლას ელოდა. მალე კუდოსწყალმა ფერმამი მოაღწია, ადამიანები სიხარულს ვერ მალავდნენ. ვინც აქაური ბიდალაბინსა და ფრიალო კლდეების ამბავი იცის, ეს არც გაუკვირდება, მაგრამ მაღაროსკარელებმა იციან, რას ნიშნავს ამ ლადადუდვეში ანრთი გაეჭრა და ზიგ მილების ჩაწყობა.

ფერმის მახლობლად ბულდოზერი გუგუნებდა აქ მალე დაიწყებენ ახალი, სხვა შენობის აგებას. მექანიზატორ ტარიელ კელეხსაშვილის ბიჭები და ფშაველი ვაჟკაცები ერთობლივად ებრძოდნენ კლდეთა ალეიეტეს და რატომღაც მომეჩვენა, თითქოს მათ შორის ტრიალებდა ფშაველი გლეხკაცი და დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველა. მასაც ხომ გულით უყვარდა კლეხკაცის შრომა,

ვეეჩერდით სოფლის ცენტრში ძველისძველ საყდართან, სადაც 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში გამართულ მიტინგზე, ვაჟამ რეეოლუციისკენ მოუწოდა მთიელებს.

სასოფლო საბჭოს წინ ნიკო ბულალაურს შევხვდით. ამ თავდაბალ ფშაველს ფშავ-ხევსურეთში ყველა იცნობს და პატივს სცემს. ნიკო ასობით ლექსის ავტორია, ობლობაში გაზრდილმა წერა-კითხვა მწყემსობაში ისწავლა. უბრალო ნახარი და კლდის სიპი ქვები იყო მისი საწერ-ალამი.

ბევრი ხალხი მოსულა პოეტის მშობლიურ სოფელში. საიდან, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს რომელი კუთხიდან არ მოდიან აქ, რათა პატივი სცეს ვაჟა-ფშაველას ხსოვნას. ჩარგალი შესანიშნავი მუზეუმია თავისი ადამიანებით და ბუნებით. რაც შეეხება ვაჟას სასლ-მუზეუმს, სიმართლე უნდა ითქვას, ზოგჯერ მას აკლია ყურადღება. მაგალითა ჩარგალია ბიბლიოთეკის გამგეს ალეკსი ხუციურაულს, რომელიც თავისი სურვილით ხედება სტუმრებს და უამბობს მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. სამწუხაროა, რომ ვაჟასეულია ბევრი ნივთი მოუვლელობით ფუჭდება, ბევრი რამ არის გასაკეთებელი ექსპოხატებიე უკეთესი ექსპოზიციისათვის.

მუზეუმის უბრალო დავთარში ნახავთ დამთვალერებლთა მრავალ ნაწერს, **გულში** ჩამწრეს გულწრფელი სიტყვები:

„დღეს აირულდა ჩემი დიდი ხნის სანუკვარი ოცნება — მევალე ვაჟას მშობლიური ქოხის კარები და ვინახულეთ დიდი მგოსნის ღარიბული ადგილი. ეს ხომ ადრეც ვიცოდი, რომ ის ამ უბრალო ქოხის ბინადარი იყო, მაგრამ ნახულმა გადაალაბრა მოლოდინს და გული ამიჩუყდა.. ცრემლები დამცვივდა. დიდი ვაჟა, დიდი მგოსანი, ჩემი სათაყვანებელი პოეტი ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ, გაცოცხლდნენ მისი დაეგიწყარი ეგირებიც და დიდი მადლიერების გრძნობით ვბრუნდები ჩემ მშობლიურ ქალაქ ჭიათურაში.

ნ. ტაბატაძე. 28.6. 1965 წ."

გვინდოდა გვენახა ვაჟას უმცროსი მეზობლები ალექსი ბაიაშვილი, გიორგი მარტიაშვილი, მარიამ ბაჩიაშვილი, მაგრამ ვერ ვნახეთ. გვათხრეს, ალექსი და გიორგი მთაში არიანო. გამიკვირდა, რა გული, რა მუხლი უნდა ჰქონდეთ ბერიკაცებს, რომ გოლიათ მთაში ასულიყვნენ. მარიამიც საწველავში აღმოჩნდა.

რაკი მგოსნის მეგობრები ვერ ვნახეთ, ბაჩანას შვილთან ბაკლესთან მივედით. იგი ცხოვრობს სოფლის გზის ზემოთ, პატარა სახლში, სადაც საოცარი სიწყნარეა. ბაკლე რაზიკაშვილს უცხოვრია თბილისში, შირაქში, შემოუვლია ბევრი მხარე, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოეს დაბრუნებია და აქედან წასვლას აღარ ფიქრობს.

მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ გრიშა ბილიხოძემ გზის მეორე მხარეს ჩრდილი მოძებნა და სასურველ კაცს გასძახა — ბაკლე, ბაი, ბაკლე!

მალე ნელი ნაბიჯებით ჩვენთან მოვიდა პირმრგვალი, ლაჟვარი სახის ჩასხმული ვაჟკაცი ბაკლე რაზიკაშვილი, იგი სადაც არის სამოცდაათ წელს მიუკაკუნებს, მაგრამ, თეთრი თმა რომ არა, ორმოცდაათი წლისაც არ ეეეონეესაო. ავადყოფობას უჩიკეი, სიარული უჭირს.

— კეთილი კაცი იყო ბიძაჩემი და მეც ყოველთვის მისკენ მიმიწევდა გული — იგონებს ბაკლე — თბილისიდან ჩარგალს რომ ამოვიდოდით, მახსოვს, როგორი სიყვარულით მივიდოდი ხოლმე ბიძასთან. მამაჩემი ბაჩანა მაღაროსკარში რომ მასწავლებლობდა, ორივენი აკად გაეხდით, მამას ფილტვები ანთება ჰქონდა, მე კი ხუნაი მახრჩობდა, ძალზე ცუდად ვიყავით, ჩვენი გადარჩენა არავის ეეონა. ვაკას ეს რომ გაეგო, მაშინვე წამოსულიყო ჩვენთან, მოვიდა, დაგვხედა, გვანუგეშა და იმ ღამესვე თიანეთს წვიდა ცხენით. მეორე დღეს დაბრუნდა და თან იმ დროს განთქმული ფერშალი ლუკა ჯავახიშვილი მოიყვანა, რომელმაც რაღაც ნემსი გამიკეთა. ჩემს სიცხარულს საზღვარი არ ქქონდა, როცა ერთი დღის მერე კვლავ ბავშვებში დავბრაოდი. მამაც მალე ფეხზე დადგა.

— ვაკა თვითონ უღარიბესი კაცი იყო, მაგრამ ქვრივ-ობლისა და ყველა გაჭირვებულის დამხმარე და ქომაგი. თავისთვის კი არავის შეეწეოდა არ უყვარდა. მაღაროსკარში სტუმრად ან ჩვენთან მოვიდოდა ანდა დავით ოქრომჭედელთან (ჯანაშვილთან, რომელიც სიძედ გვეკუთვნოდა). ვინ მოთვლის, რამდენჯერ წაეუყვანივარ ცხენით თუ ფეხით თბილისსა თუ სხვა ადგილებში. მე მაშინ პატარა ვიყავ და, ბუნებრივია, ეგრერიგად თავს როდი მიყადრებდა.

— ერთ დროს მამამ მოინდომა ჩარგლის ბოლოს, აფხუშოში სახლის აშენება, იშოვნა კიდეც კარგი ხელოსანი ვიორგი ანთაური. კარგი ოროთახიანი სახლი გამოვიდა. ამ სახლში შეეარბენებოდნენ ხოლმე ძმები ვაკა, თედო და ბაჩანა. ისეთი კამათი დაუდგებოდათ. ეეგონებოდათ, ჩხუბი გაუხდათ. აფხუშოში თორმეტიოდე წელიწადი ვიცხოვრეთ და მერე საცხოვრებლად შირაქში გადავედით.

დადგა 1915 წლის მაისი, ქვეყანაზე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, იმ გაზაფხულზე გულმა ჩარგლისკენ გამიწია. მივედი ვაკასთან, მწოლიარე დამხვდა, თავი ყაბალახიანი ჰქონდა გაკრული, მითხრა, შვილო, ავად ვარ და არ ვიცი, როგორ ვადავრჩებიო. ვაკა ნუგეშეს ეეკოცე და გამოვეთხოვე, გული კარგს არას მეუბნებოდა, იმის შემდეგ საყვარელი ბიძა აღარ მინახავს. ორი კვირის მერე ჯარში გამიწვიეს და ბაჩანამ შორეულ ყაზანში მომწერა, ვაკა აღარა გვყავსო.

პავლე რაზიკაშვილი მარტო ცხოვრობს. სიწყხარეა მისი მკურნალი. აქვე ჩარგალში მასწავლებლობს მისი უმცროსი ძმა გიგლა.— ჩვენს დედმამიშვილობაში გიგლა ყველაზე უფრო ეგავს ბაჩანას, — თქვა პავლემ. — აქვე სკოლის დირექტორად მუშაობს დიდი მგოსნის შვილიშვილი ალექსი. პავლეს წინაპართა ნიეი გამოპყოლია. როცა ღამე ჩამოწვება, მისი სასლის სარკმელში დიდხანს ანათებს შუქი. იგი წერს მოგონებებს, თარგმნის კოლცოვს, ბერანჟეს...

ვაკა რომ მკვდრეთით აღმდგარიყო, ვეღარ იცნობდა გამშვენიერებულ მშობელ ქვეყანას, გაჭკვარტული ფშაური ქოხების ნაცვლად სოფლებს ამშვენებს კრამიტითა და თუნუქით დახურული ახალი ოდასხლები, თითქმის ყველა სოფელში წკრიალებს სკოლის ზარები. სადღა დიდაქალაქს მიმავალი ბილიკი, რომელზეც ორ ცხენსასს აწ შეიძლო გვერდის ავლა. ფშავ-ხევსურეთის გზაზე-ყინვაზედან თვით დათვის ჯვარამდე გუგუნებენ ავტომანქანები. ახალი ცხოვრება შეიჭრა მთაში. განახლების სიმღერას აგუგუნებენ მაღალი მთები, რასაც ასე გულით ნატრობდა ვაჟა-ფშაველა.

ა. თომაძე,
„ლომ". საკ. კორ.

• • •

სურათზე: ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში.

ფოტო გ. ნადარეიშვილისა.



იოსეგ ნონეშვილი

მენ მშობელ მთებზე იდექი

ირაგვის მთარაგვებ
და ეარსკვლავებით ეხვი ცა,
ბეჩავი ქეხის ჩიგილი,
ტკივილი
ბეიერ მეხისა:
ლეხეემის ბეკლისპირეული,
ზეზვაის ფარის ეორილი
და სული, სული ქართეელ,
შეძმეკევი, ქარიშხლიანი.
გორი, ეერეო და დეუმეთი,
თეეშეთი,
გუდამაყარი,
ბეურკეები ბაბტრეეთნისა
ეურკეეი, ლებომაკარი;
ფშაველის შიბნი და შეაეები,
ზეკეეები,
შენი ჩარგალეა, —
შეკკარი, შეახმატკბილე,
შეაყრილი ჩანგეურად.
ხან დილგმად მოკკეხს შენი
ხმა,
ხან შვლის ნუკრივით
მშვეიდია.
თვითონ შენა ხარ ზეზვაიც,
თვითონ შენა ხარ მინდიაც.
შენი ბურჯნის ქერიმი,
განა ამგვარი სხვაც არის?...
მიდ ხმიადები ეი არა,
გკონია მთელი სიცოცხლის,
მარადისობის საგალი.
გზას მოკკაფავდი გულდაგულ,
ვერას გაკლებდა დრო შავი,
ჯერ კაცად დიდი იყავი
და შემდეგ დიდი მგოსანი.
შენ თავს გერჩევნა
სამშობლო,
უკვდავი ლექსით ჰბოსავდი,
ჯერ იყავ დიდი ქართველი
და შემდეგ დიდი მგოსანი.
ფარო,
ხმალო
და ჯავარო,
ჩემენო სულმნათო პოეტო,
შენი ხმა. შენი გულგული
რამდენ ქვეყანას მოედო.
თავს შენს შემკედრდე
ალბადებს
ყველა, ვინც გგავს და არა
გგავს,
მაგრამ ლექსები სად არის
მთიდან მომსულები
არაგვად...
მგოსანო ფარხმალიანო,
გშვენოდა ჩოხის კალთები.
ლექსით, გულით და
საქმითაც,
ჩაცმითაც იყავ ქართველი.
ჩვენ, ახალგორის მგოსნები,
სად არ დადიოვართ, სად არა.
მოგზაურობდ ეიქრცით,
მიწა გვგონია პატარა,
შენ მშობელ მთებზე იდექი,
როგორც ფშაველი მხედარი,
მაგრამ პატარა ჩარგლიდან
მთელ დედამიწას ხედავდი.

პოეზიის სასწაული

ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე მსოფლიო მნიშვნელობის ერთი მოვლენა მეორეს ცვლიდა, არაერთხელ შეცვლილი ევროპის პოლიტიკური რუკა, სახე იცვალა ჩვენმა ქვეყანამ, სხვა გახდნენ რუსი ხალხიც და ქართველი ხალხიც. მაგრამ დიდი ქართველი პოეტის ხსოვნა ცოცხალია არა მარტო მის სამშობლოში. წლითიწლობით მტკიცდება იგი ჩვენს შორის, რუს მკითხველებში. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილია რუს მთარგმნელ პოეტთა მრავალი შრომა.

საქართველოში, მთის სოფელ ჩარგალში, ახლაც დგას სახლი, რომელშიც ვაჟა-ფშაველა ცხოვრობდა, შემონახულია პოეტის საოჯახო ჯუჭელიც, მისი ცელი, თოფი და წიგნები. იგი სოფლის მასწავლებელი იყო და ამავე დროს გლეხური შრომასა ეწეოდა და ნადირობდა ისევე, როგორც მისი თანასოფლელები; მისი ყოფა სადა იყო. იმდროინდელი ფშავ-ხევსურეთის მთის სოფლისათვის ჩვეულებრივი. ვაჟა-ფშაველა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის ქორწილებშიც. კრიშიც. ღამისთევაშიც. როცა ძველებურ სიმღერებს მღეროდნენ და მოხუცები დინჯად მუვეიდოდნენ წარსული დროის

დედაქალაქის ქვედა სართული

ბრა მგონია ჩვენს ქალაქში იყოს ადამიანი, რომელიც მოუთმენლად არ ელოდეს იმ დღეს, როცა თბილისის ქვედა სართული — მეტროპოლიტენი ამუშავდება, ფიქრობ მაინც არ დამდგარიყოს ექსკალატორზე, არ ემგზავროს მატარებლით, არ გამოეთვალოს, სამხახურში მისასვლელად რამდენად ნაკლები დრო დასჭირდება, და თუ ახალგაზრდაა, სატრფოსათვის პაემანი არ დაენიშნოს რომელიმე სადგურზე.

ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ფიქრშია, მაგრამ განა შორს არის ეს დღე?

გვირაბმშენებლებმა მეტროპოლიტენის პირველი რიგის ბაზი სადგურ დიდუბიდან რუსთაველის პროსპექტის ჩათვლით მიმდინარე წლის 25 დეკემბერს უნდა გადასცენ საექსპლოატაციოდ. შვიდი ნოემბრისათვის კი საცდელი მატარებლები პირველად გაირბენენ თბილისის ქვეშ.

პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, როდესაც მეოთხე უნის ტერატორიაზე შევედით, იყო წარწერა: „სადგურის პირველი რიგის ამუშავებამდე დარჩენილია 110 დღე". ეზოში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ რიზინისჩექმებიანი და მუზარადიანი მუშები.

— კარგ დროს მოხვედით, — გვითხრა უნის უფროსმა გ. ყიფიანმა. — სწორედ ახლა მეორე ცვლა წავა ქვევით და გაჰყევით, ყველაფერს იქ ნახავთ. აი ცვლის უფროსი, გიციანთ.

— ლომაძე. — ხელი გამოგვიწოდა ახლად გაცნობილმა და შეგვთავაზეიერა. — ტანზე გამოიცვალეთ.

იგი წინ გაგვიძღვა და მალე ჩვენც ისე გამოვეწყეთ, როგორც ყველანი, ვინც ქვეითი, მიწის ქვეშ მუშაობს.

ლიფტი ჯერ ნელი ბიძგით დაიძრა ადგილიდან. შემდეგ სვლას უმატა, როცა გაჩერდა და გადმოვედით ზეზოთ იყო ქუჩები, სახლები, მანქანები.

მუშები გვირაბს გაჰყვნენ თავიანთი სამუშაო ადგილებისაკენ. ცვლის უფროსმა მოადგილეს გადაგვაბარა და ისიც გაუჩინარდა.

მიწის ქვეშ ვართ. ჩვენი მეგზური ამ ნახევრადბნელ ვიწრო ვვირაბებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ა. არჩვაძეა.

— აქ ივლიან მატარებლები? — ვეკითხები და ვიწრო ლიანდაგებს ვუყურებ.

— არა, ეს დამხმარე გვირაბია, აქედან ქანები გამოგვაქვს, სადგური იქით არის, გვირაბის ბოლოს.

გვირაბს მივყვებით. იგი ორად იყოფა, იქ სიღრმიდან ისმის, როგორ ღრღნის ბურღი კლდეს.

— დამხმარე გვირაბი „გაგვაკეთებ, — ამბობს ჩვენი მეგზური, — როდესაც სადგურის მშენებლობა დამთავრდება, ეს გვირაბი გაუქმდება. მეორე გვირაბი სამუშაოების გასაგრძელებლად არის საჭირო.

იმ სადგურის ბაქანზე გავედით, რომელსაც სულ მალე „რუსთაველის" სახელით გაიცნობენ თბილისელები. იქ ზევით, ძეგლთან უკვე წარმოიებს ზედა სადგურის მშენებლობა. „რუსთაველი" ყველაზე ღრმა იქნება პირველი რიგის სადგურებს შორის. იატაკზე უკვე დაგებულია მარმარილო, კედლები წითელი მარმარილოთია მოპირკეთებული, ლიანდაგი დიდი გვირაბის სიღრმეში იმალება.

ესკალატორს, ქვემოდან რომ ავბედეთ, ბოლო არ უჩანდა. ახლა მას ამონტაჟებენ და მალე აამუშავებენ.

ისევ გვირაბს დავყვეთ, ელმავალი ქვეშით სავსე პატარა ეაგონებს ეზიდება. ბურღი ურუდ ღრიალებს. აქ კომუნისტური შრომის ბრიგადა მუშაობს. ბრიგადირ კუკური ბლიაძეს სამი წელია გვირაბები გაჰყავს თბილისის ქვეშ, მისი ბრიგადის წევრი ვ. გაფრინდაშვილი 18 წელიწადს მუშაობდა ჭიათურის მაღაროში. კუნთმაგარი არიან ყველანი. ამა სხვანაირად როგორ, შეიძლება. ისეთი სამუშაოა. სუსტი კაცი ვერასგზით ვერ გაუძლებს. რომელიღაც ნათურა გადაიწვა. ჩამობნელდა.

— თენგიზი მოძებნეთ. — ამბობს რომელიღაც და მერე ჩვენ გვეუბნება. — ოქროს ხელები აქვს ჩვენს ელექტროშეინჯალს.

სამი წუთის შემდეგ სინათლე უკვე ენთო. ქერა მომეჩვენა ელექტროშეინჯალი. კომუნისტი თ. გაჩეჩილაძე. ოთხი წელია აქ მუშაობს. მაგრამ გული მაინც ზევით — ჰაერზე მიუწევს. მეტაუღვი უნდა გახდეს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეოთხე კურსზე სწავლობს დაუსწრებლად.

არა, აქ ძალით ვერ შემოაგდებ ადამიანს, არც მაღალი ხელფასი მოხიბლავს. გულით უნდა გიყვარდეს ეს საქმე, რადგან საოცრად მომხიბვლელია აქაურობა: მიწის ქვეშ ბარ, კედლებს ანერევ და წინ მიდიხარ, გზას იკვალავ უგზოობაში.

აქ შრომაც იციან და შრომის ფასიც. მოწინავეთა რიგებში არიან გამოყვანები გ. ქინძმარაშვილი, შ. ენუქიძე, შ. დევსურაშვილი, გ. ნებაძე, მ. სვანაძე, გ. ცხოვრებოვი, გ. ჩიბრაძე, ს. თინიკაშვილი, ამფეთქებელი ნ. ფილიმონოვი, მემანქანე ი. თადიაშვილი, მეკამარატეები დ. სახვაძე, ბ. გომარელი და მრავალი სხვა.

ზემოთ რომ ამოვედით, ისევ ისე ხმაურობდნენ ქუჩები თითქოს ორი სხვადასხვა სამყაროა იქ — ქვეითი და აქ ზევით. ახლა ისეა, მაგრამ ეს დროებითია. კიდევ ცოტა ხანი, და ორივე ერთი მთლიანი იქნება.

ო. ლორთქიფანიძე.



სურათებზე: (ზემოთ) ექსკალატორი სადგურ „ოქტომბრის ქუჩაზე". (მარჯვნივ) მეტრო დიდუბის მიწისზედა სადგური.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი სტუმრები

ბ. ზონიაბა: გისურვებთ წარმატებებს

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოწვეითი ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობენ კონგოს (ბრაზავილი) რესპუბლიკის ინფორმაციისა და განათლების მინისტრი ბერნარდ ზონიაბა, ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა ატაშე ალბერ ჯომა-ნგანგა და ჟურნალისტი ჟერმენ ბაიაკი.

კონგოს (ბრაზავილი) წარმომადგენლები უკვე იყვნენ მოსკოვსა და ლენინგრადში, გუშინდღლიდან კი საქართველოს დედაქალაქს. და მის ღირსშესანიშნაობებს ეცნობოდნენ.

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში მინისტრმა ბერნარდ ზონიაბამ შემდეგი განაცხადა:

— ძალიან მსიამოვნებს თქვენს ქვეყანაში ყოფნა. ბევრი რამ მჭირდა გაგონილი და წაკითხული საბჭოთა ქვეყანაზე და სასიხარულოა, რომ ყველაფერი ეს ჩემი თვალით ვნახე. ჩვენ ყველგან გულთბილად გვხვდებოდნენ. ოფიციალური მიღება იყო ეს თუ მეგობრული შეხვედრები. გავეცანით დიდი გაზეთებისა და ჟურნალების მუშაობას, პოლიგრაფიულ ბაზებს.

არანაკლებ გულთბილად შეგვხვდნენ საქართველოში.

—ამას წინათ ბრაზავილში დამთავრდა აფრიკის ქვეყნების სპორტული ასპარეზობა. რა მნიშვნელოვნა ჰქონდა მას თქვენი ქვეყნისათვის?

— ეს იყო არა მარტო სპორტული ასპარეზობა, არამედ აფრიკის ხალხთა მეგობრობისა და დაახლოებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი. ჩვენ საშუალება მოგვეცა სპორტული დელეგაციებისათვის და მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის უფრო კარგად გაგვეცნო ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. მათ ნახეს, რომ ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი სოციალისტური მშენებლობის გზას დავადგეთ.

მინდა ვისარგებლო შემოთხვევით, — თქვა დაასრულ ბერნარდ ზონიაბამ,— და გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით ჩემი ქვეყნის ხალამი გადავცე საბჭოთა ხალხს, ქართველ ხალხს, ვუსურვო მას წარმატება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კონგოს (ბრაზავილი) ინფორმაციისა და განათლების მინისტრი და მისი თანმხლები პირები კიდევ რამდენიმე დღეს დარჩებიან ჩვენს რესპუბლიკაში.

• • •

სურათზე (მარცხნიდან) ბერნარდ ზონიაბა, ჟ. ბაიაკი და ა. გომა-ნგანგა თბილისში.

ფოტო. ვლ. გინზბურგისა.

მაღლობის ბარათი რუმინეთიდან

რუსთავი. (საკ. კორ.). არცთუ იშვიათად რუსთავის სატვირთო სადგურში ნახავთ დატვირთულ ვაგონებს წარწერით „რუსთავი-რუმინეთი".

ქარხანელი მეტალურგები რუმინელ მშრომელებს ძირითადად აწვდიან მილის ნამზადს, რომელსაც უდიდესი გამოყენება აქვს რუმინეთის ნავთობის მრეწველობაში.

და განა მარტო ეს აკავშირებს რუსთაველ მეტალურგებს სოციალისტურ რუმინეთთან? ლენინური პრემიის ლაურეატი, მილსადენავი საამქროს უფროსი პ. წერეთელი არაერთხელ მიუწვევიათ ქ. რომანის მეტალურგიულ ქარხანაში საკონსულტაციოდ, სადაც დამონტაჟებულია მისი მონაწილეობით შექმნილი „დგანი 400", რომელიც ერთადერთია მსოფლიოში. სრული ავტომატიზაციით რომ მუშაობს.

ამ დღეებში რუმინეთიდან მოვიდა ბარათი, რომელშიც რუმინელი მეტალურგები მადლობას უხდიან ქართველ კოლეგებს საქმიანი დახმარებისათვის.



ბაკურიანი

ბილიონთა სპარტაკიადა

ᲞᲘᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ დიდი სპორტული ზეიმი ქქონდათ გუშინ მოსკოველებს ლენინგ ში, ვ. ილენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა VIII პროფკავშირული სპარტაკიადა, რომელიც მიმდინარე წლის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენს.

სპარტაკიადის მასობრივობასა და ხალხურობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ წინასწარ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 15.000.000-ზე მეტმა მუშამ, მოსამსახურემ, მოსწავლემ, სტუდენტმა.

სპარტაკიადის ალამი აღმართეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა სპორტსმენებმა. მეჭიდრი ნაბიჯებით ჩაუარეს კოლონებმა ტრიბუნებს. მათ მიაყარეს ათეულობით ბაყაფი ფოთლები. ბაქანზე ერთსულოვანი ტაში.

სპარტაკიადის მონაწილეთა პარადის შემდეგ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები.

ᲬᲕᲘᲜᲐᲛ ᲮᲔᲚᲘ შეუშალა მეფლოსნებს ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲖᲔᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲙᲘ ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲖᲔᲓᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ". (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲛᲔᲢᲠᲝ ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲖᲔᲓᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ VIII ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲠᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲔᲠᲯᲕᲔ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ. ᲩᲐᲜᲓᲛᲝᲕᲐᲠᲯᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲯᲕᲔ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲛᲔᲠᲯᲕᲔ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲛᲔ-9 ᲓᲐ ᲛᲔ-8 ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲐᲜᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲖᲔᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ